


3  
 საქართველო  
 ლაშქარის გამომცემი



ბაგოთხოვნა.

### სატრფიანო ბარათიდან

... მაინც დავეძებ კვლავ შენს ბაგეს—გრძნობის მდინარეს,  
 მაგრამ არ ძალმიძს მისი პოვნა არცა მღვიძარეს,  
 არცა მძინარეს...

მაინც დავეძებ კვლავ შენს თვალებს, ვნებით დამწვევლებს,  
 მაგრამ ვერ ვპოვებ,—სევდა მტანჯავს, აღარ მასვენებს,  
 ხოლო ჩემს თვალებს ცრემლით ასველებს!..

დავეძებ-მეთქი, შენს მთვრალს ხელებს,  
 აღერსის ქსელებს,

მაგრამ ვერ ვპოვებ,—დღეთა ყოფნას მე ეს მიძნელებს...  
 გულს ეს მიხელებს!  
 დავეძებ ხელებს...  
 ვნებით მთვრალ ხელებს!

სანდრო შანშიაშვილი.

### სიკვდილის ფრთავ კვამ

I

— არა, არ შემძლიან, სამსონ,—  
 შესძახა ქეთომ,—უშენოდ, ხომ იცი,  
 ფრთა მოტეხილი ვიქნები. აბა გასა-  
 ჯე: მე, ვინც სიცოცხლის ყვავილი  
 გავფურჩნე შენს სულის წალკოტში,  
 მე... მაგრამ შენ უკედ არ იცი? ჩა-  
 მომხედე თვალბში, ჩამომხედე და  
 ამოიკითხავ.

— მესმის, ჩემო კარგო, მაგრამ მო-  
 ვალეობა?

მაგრამ ქეთოსთვის აღარავითარი  
 მოვალეობა არ არსებობდა. ამ ჟამად  
 მხოლოდ პირადი ბედნიერების დან-  
 გრევის სურათი უდგა და რატომღაც  
 ვერ შეპრიგებოდა იმ აზრს, თუ ვინმე  
 იქნებოდა ისეთი ძლიერი მბრძანებე-  
 ლი, ვინც შესძლებდა შეჭებოდა მის  
 საკუთარს კერას, რომლის იქით თვით  
 ღმერთიც აღარ ღმერთობდა.

სულ სხვა აზრისა იყო სამსონი. მი-  
 სი სული უკვე სხვა ქურაში იყო გა-  
 მოწრთობილი. სამხედრო სასწავლე-  
 ბელმა მხედრული სულით ააფრთოვა-  
 ნა. როგორც რჩეულ საგვარეულოს  
 ღირსეული შვილი ჰაბუკურ სისხლის  
 ჩქეფას ვერ უძლებდა და წამითწამს  
 მოელოდა იმ სანიტარო წუთის შე-  
 ყრას, როდესაც შიშველი მახვილით  
 სიკვდილს პირისპირს წარუდგებოდა.

— დაწყნარდი, ქეთო,—ამუხედებდა  
 იგი წინასწარი გრძნობით გაფითრე-  
 ბულს საყვარელს დანიშნულს,—შენ აზ-

ვიადებ, გამახარე. შენი შიში მხოლოდ  
 ქალური შიშია, რომელიც ვაჟაკს  
 ჩრდილს აყენებს. და განა შენ არ  
 იყავი, რომ ომამდე ნიდაგს მიმტკი-  
 ცებდი, სახელოვანი უნდა გახდე, გმი-  
 რობა მაჩვენოო? ჩვენი გვარი ისტო-  
 რიულია, ცხრა ძმა ერთად დაღუპუ-  
 ლა. დღესაც მათი შთამომავალი სა-  
 გვარეულოს არ შევარცხვენთ ამ საო-  
 ცარ მსოფლიო ომში.

ერთ დროს ქეთინო მართლა მისი  
 ზეშთამგონებელი იყო. მაგრამ ეხლა  
 თვითონაც არ ესმოდა, რად მოხდა,  
 რომ ომის გამოცხადების დღიდან შე-  
 სჯავრდა სამხედრო მუნდირი, შეეზი-  
 ზლა ყველა, ვინც კი იარაღს ატარებ-  
 და. აღმანახებს და ურწულ-გაზეთო-  
 ბას ისე არ გადაჰშლიდა, რომ ურუან-  
 ტელს არ დაეგლო. ყოველთვის შემა-  
 ძრწუნებელი სურათები, ყოველთვის  
 ერთი და იგივე ტრაბახი კაცი-ჰამია-  
 ობის გამოისად. მოკლეულ-დაჭრილთა  
 პორტრეტები ხომ ციებ-ციხელებას  
 ჰგვრიდა:

— სამსონიც ერთხელ რომ ასე გა-  
 მოსქიმიონ...

ერთხელ ცრემლები გადმოსცივდა.  
 როცა სამსონმა წამოასწრო და მიხეზი  
 იკითხა, რა გატირებსო. ქეთოს მორ-  
 ცხვობამ გადაჰკრა, მაგრამ მალე სი-  
 წითლე სიყვითლედ შეეცვალა, ყელზე  
 შემოეჭრა და თან სლოკინით ჩასჩურ-  
 ჩულა:

— შენთვის, ჩემო სანუკვარო, შენ-  
 თვის ვაზნევი ამ ცრემლებსა...




II

ამაოდ სცდილობდა სამსონი ქეთი-  
ნოს დამშვიდებას. გამოუჩვეველმა  
ნაღვლის რიდემ დაპატარა მისი სული,  
სიცოცხლით მსუნთქავი ანაპერწყლე-  
ბული შავი თვალები. საშინელი წი-  
ნაგრძობა ფრთებ ჩამოშვევულ ყო-  
რანსავეთ წამოშვულიყო მის სულის  
ღრუბელთან და სულ იმას დაჰყოდა,  
რომ სიცოცხლის სიმთა ეღერა შეს-  
წყდა, ვერცხლის ზართა წკრილს ვ-  
ლარ შეისმენ აღშემოსილ ცისკრის  
ფრთაზეო.

ქეთინოც გულდაწყვეტით იგონებდა  
ცის რვეულზე უ ვე წარწერილ მიგრა-  
ლულ ცხოვრებას, როდესაც ქალწულ  
შოკრთალების კოშკიდან სიცოცხლის  
ზღაპარს, ცისარტყელას, ხავერდოვან  
მარაოდ ჰშლიდა. რა წარმტაცი სანა-  
ხაობა იყო! ამ დროს იგი მორცხე-  
ბის კდემამოსილებით შეზაროდა ტუ-  
რფა რაინდს, რომელიც სამსონის სა-  
ხით ეჩვენებოდა მის რომანტიულ  
ზმნებას მაისის ვარდში, ველის თვალ-  
ყუყუნა ყვავალებში, მთის მწვერვა-  
ლიდან მოწყვეტილ ღრუბელში თუ  
დიდის სხივთა ისრებით დანაკოდ გუ-  
ლიდან გადმოდენილ სისხლის წვეთე-  
ბით შტლებილს ალვის ხეებში! იმ  
დროს ცა, მიწა მხოლოდ სურნელოვ-  
ნების ჭურჭელად გარდაქმნილიყო,  
რომ მხოლოდ ერთი მუშკამბარი და-  
გვიმათ სასონ ს ხატისთვის. განა შე-  
იძლება აიწეროს ის აღტაცება, რო-  
დესაც სამსონმა კორნეტის მუნდირი  
გადაიცვა და თავმომშონედ მიულოცა  
ახალი წელი? ტკბილეთულის ნაცვლად  
იმ დროს თოვლის გუნდა მიართვა,  
მაგრამ რად იყო, რომ ქეთინოსთვის  
ეს თეთრი და ცივი გუნდა ნეტარების  
ნეტარი გახდა? გულთან მიიხუტა,  
დაუწყა კოცნა და შემდეგ ვაშლსავეთ  
ჩაპტიჩა, იცინოდა, თავშეუთავებლად  
ხითხითებდა, ვიდრე გუნდა არ გა-  
თავა! საოცარი იყო მისი ხსოვნა! ის, რაც  
რამ პირველი იყო, დაუფიქარი გა-  
ხდა მის გულის ხელთუქნარ რვეულის-  
თვის. ახსოვდა პირველად შეთავაზე-  
ბული გაზაფხულის ყვავილი, პირველი  
შეწითლებული მინდვრის მარწყვი,  
პირველი ღამე, მთვარიანი ვერცხლის  
ღამე, მასთან რომ მარტო გაატარა!  
შუალამე გადასულიყო. ძე ხორციელი  
არსად სწინდა. ესენი კი ერთმანეთს  
მიჰყუებოდნენ მამადავითის დაღმარ-  
თის ერთს ხის სკამზე და ასე უსი-  
ტყვოდ ტკბებოდნენ შორს, ვერცხ-  
ლის სხივებში ჩამდნარ ქალაქის ლე-  
გენდარულ სანახობით. მხოლოდ ერთ-  
მა მამადავითმა უწყოდა მათი გულის-  
ფეთქით მოქსოვილი საუბრის შინა-  
არსი, მხოლოდ ის იხვევდა ხელზე  
მათს გრძობათა ღვათებრივს ძაფებს  
და განგებ სიოსაც კი ფრთის გაშლას  
უშლიდა, რომ მათი დამატკბობელი  
მყუდროება ოდნავაც არ დარღვეუ-  
ლიყო.

ასეთივე ზღაპრული სახით მოიქსო-  
ვა ზამთარი სოფლად. აი, ქეთო იგო-  
ნებს ბზობის სურათს. ამ დღეს სამ-  
სონი პირველად ეწვია მათს ოჯახს  
და მხიარულადაც გაატარა დრო.  
პირველად მაშინ უარპყა დროებით  
თავადიშვილური ამპარტანება, რომ  
სოფელლებს მათი რიდი არა ჰქონო-  
დათ, სანხედრო მუნდირი გაიხდა,  
მათთან ერთად ლხინობდა, ყიფინობ-  
და. რა ამბავი იყო! თვით მიძინებუ-  
ლი ბუნებაც კი აღტაცებაში მოდიო-  
და. აი, მზემ გამოაშუქა, სოფლის



გენერალი ნიველი  
საფრანგეთის ჯარის ახალი მთავარ-  
სარდალი, გენ. ჟოფრის მაგიერ და-  
ნიშნული.

ახლაზრდობა დაიძრა, მიაქეთ მარ-  
ხილები, მიაქეთ ციგები. აი, შეუდგნენ  
ერთს ფერდობს. ქეთო სამსონს გვერ-  
დიდან არა შორდება, ცვაჯე ამასაც  
ხელი უკიდია. მას შემდეგ კარგა ხან-  
მა განვლო, თათქმის სამაა წელმა,  
მაგრამ ქეთოს მანც მშვენიერად ახ-  
სოვს თვითთული ბუჩქი, თეთრი ატლა-  
სით მოკვალული თვითთული ხე, მო-  
ცინარი თოკლი, ალმსით ნაქარგი  
აციაგებული მყინვარის სილუეტი და  
თვით ის თხემიც, საიდანაც რიგ-რი-  
გად სრიალით ეშვებოდნენ მოციგავე-  
ნი. აი, ყოველისფერი მზად არის. მი-  
სი რაინდი დაჯდება, მრისვამს ქეთოს  
და ისარივთ დაეშვება. მათ სხვები  
მოჰყვებიან... ყიფინა... აღტაცება...  
ერთ სოფელელ ბიჭს თინის სალამური  
დაუჭერია და სრიალის დროს გამკვე-  
თავი ხმით აწივლებს... ასე მიჰქრია  
მოციგავენი, კვერანაკს გვერდით ხევი  
შისდევს. დიდი სიმარჯვეა საჭირო,  
თორემ ოდნავი გაუფრთხალებლობა,  
სწორწონაობის გადატეხა და... გადი-  
ჩებებიან კიდევ, მაგრამ ეს სიკვდილ-  
სიცოხლესთან თამაში მათთვის სანუ-  
კვარი რამ იყო, ისეთი თვალწარმტა-  
ცი და მიმზიდველი, რომ არც ერთს  
მათგანს შიში გულში არ გაუვლია.  
ეს იყო სიცოცხლის დღესასწაული,  
საიდუმლო გამარჯვება სტიქიონზე,  
როდესაც აღ მანი წუთიერად ბუნე-  
ბის მეფედ ხდება, ბუნების გამგე-  
ბელად...

ქეთინოს მრავალ ზღაპრთა შორის  
ზაფხულიც არ დაჰვიწყებია. მაშინ სა-  
აგარაკოდ ზღვას ეწვივნენ. ყოველდღე  
ნავს ქირაობდნენ, გაუშვებდნენ ტალ-  
ღებზე და ოცნებას მისცემდნენ თავ-  
სა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ხაპირს  
საგრძობლად ჰშორდებოდნენ და ცი-  
სა და ზღვას შემაერთებელ ხილად  
გახდებოდნენ, ქეთინო მის მკლავზე  
ეშვებოდა, ოდნავ წელ-გადახნეკილი



თ დ ვლადიმერ ლენტორის ძე  
ლორთქიფანიძე  
გარდაიცვალა ოსმალეთის ფრონტზე.

გულს გაიღვლიდა, მოღუნებით ეყუდ-  
ბოდა სამსონის მკერდს და ასე გა-  
ბრუებული გაჰყურებდა ლავეარდ  
ზვირთებზე მოსრილ უცნაურს ფრინ-  
ველებს და თ. ვხედ თევზების ქარავა-  
ნის ჰაერში ხტუნაობას. ათასი ერთ-  
ხელ სამსონის ლაღი სიმღერა ჰკვე-  
თავდა მყუდროების ფარდას, ეს მა-  
შინ, როდესაც დამთვრალ ქეთინოს  
ინსტიქტიურად აწივლ მკლავებს მი-  
აგებებდა კისერს, რომ ასე შემოხვე-  
ული ბედნიერ იყო, როგორც ერთად  
გადახვეული ტალღები, რომელნიც  
მათს დანახვაზე თითქოს განგებ ტაშს  
უკრავდნენ და ნელ-ნელ უფსკრულის  
პირზე ლიკლიკით შორს მიჰქროლა-  
დნენ, ნაპირიკენ ამ ამბვის გასაშელ-  
ვებლად. დიანაც, ამ დროს ქეთინო  
დამთვრალა ქურუმი ქალი იყო, რო-  
მელიც სულით-ხორციანად შეეპყრო  
აღფრთოვანების თავშეუთავებელს წარ-  
მართობას, ვნებათა უდლომატო, ქა-  
რიშხალს.

— აჰ, რა კარგია, რა კარგია...  
გაიგონებდით მის მიმტკნარებულს  
ხმას. სამსონიც დაიხრებოდა, ჩააცქერ-  
დებოდა მის ამღვრულს თვალებს და  
მით ტყუობლობდა ქეთინოს სურვილ-  
თა ვნებიან ბარათს...

III

თვითთულ დღეს უცნაური ამბებ-  
მოჰქონდა. ბრძოლის საშინელების ხმა  
თვით ზეცას ც კი არწუნებდა. ახლო-  
ვდებოდა სამსონის წასვლის დღეც.  
მისი ლაღი ოცნება საშუალო საუკუ-  
ნის რაინდის ოცნებას წაგავდა. ომი  
თეორეტიული უკვე პრაქტიკულად  
ნაცადი წარმოედგინა, იგი გამარჯვე-  
ბის დროშას მოაფრიალებდა. მტრის  
42 სანტიმეტრიან ვეშაპებისთვის პი-  
რი მოემტვრია, მისი მედიდურება  
ფეხ-ქვეშ გაეთელნა და ჰანიბალ-ალექ-  
სანდრე-ნაპოლეონის მარავანდელით  
ნათელი შუბლა შეემოსნა. ამიტომ  
იყო, რომ ქეთინოს ცრემლებს მუდამ  
ღიმილით შეჰყურებდა, მაცადე, რო-  
გორი ბიჭი დაგებრუნდებო. თუმცა  
ხშირად მომადარა ისიც, რომ ქეთი-  
ნოს ქ-ლურს სისუსტეს მახე გაუძარ-  
ჯვებია და ომზე ფიქრი უკუშვდებია  
კიდევ.

— მჯერა, მჯერა, — ეტყოდა სამსო-  
ნი და მის მწველ ტუჩებით დამდნარს  
საკეთარს ტუჩებს აათრთოლებდა და  
ნახის ჩუჩულით მოუყვებოდა ალერსს,  
თითქოს ნამდვილი ცოლი კი არ ყოფი-  
ლიყოს, არამედ ახლად დანიშნული,  
სახელდობრ, სწორედ ის ქეთინო, რო-  
აელსაც ჯერ კიდევ ინსტიტუტის კელ-  
ლებში იცნობდა:  
— გეყოფა, ქეთინო, გეყოფა, —  
ეტყოდა თავდავიწყებით, — შენ მარ-

ტოვ გრძობათა მხევალი ხარ, ვინის  
ქურუმი... შენი კოცნა... შენი ყველა  
თქვა უფრო მწველია, ვიდრე ჩვენი...  
ზური სამხრეთის ქარი... ჯადოქარი  
ხარ, ჯადოქარი, რომ ვაჟაკს ასე მა-  
დაბუნებ...

მაგრამ ქეთინო მზად იყო მისი  
ბრალდება გაეჭარწყლებინა.  
— ქალს ქალობას ვერ ვინ დამ-  
ძრახავს, — უთქვია ხშირად, — იმედებზე  
მითითებ, მაგრამ გავიწყდება, რომ ეს  
იმედი თვითონ შენა ხარ, შენ, ეს  
ძლიერი, სანუკვარი და საღმრთო არ-  
სება, რომელიც განგებამ მაჩუქა სუს-  
ტი ადამიანის სახით...

სამსონიც მის კოცნას იღებდა,  
იღებდა ისე, როგორც მათრობელა  
ხაშხაშს. ყოველთვის, როცა კი ერთი  
ორი საათით მოუბრუნებია შინ, კარებ-  
შივე ისე ეხვეოდა, როგორც პაემანზე  
მოსულს დანიშნულ სატრფოს. გიჟუ-  
რი ხვევნი, გიჟური თავ-დავიწყება ამ  
დროს თხოულობდა გასასკუთრებულს  
წაქებს, განსაკუთრებულს წუთებს, ეს  
იმ წუთებს, რომელთა აღხატვას  
მთელს სუკუნეობითაც ვერ შეგძლებენ.  
ხავერდს საგარბელზე მიშვებულ ქე-  
თინოს მტხლზე დაისვამდა და მის  
ცრემლთა ექუენის დროს რომანტი-  
ულ ღუმილს აძლევდა თავს. ფიქრები,  
ჭაბუკის მღელვარე ფიქრები მწიგნო-  
ბრულ ომის სუბთებს აღევნებდა  
თვალს. თვალ-უწვდენელი ღელა უდა-  
ბხო, თოვლაახი მწვერვალები ომის  
ღმერთისაგან შეძრულიყო. მაგრამ სა-  
ოცარი ის იყო, რომ შესაზარი იმავე  
დროს რატომღაც ჯადოსნურ მიმზიდ-  
ველობით კეკლსკობდა, როგორც ორი  
უკიდურესი სტიქია, როგორც სიკვ-  
დილ-სიცოცხლის თავგანწირულების  
დამატყვევებელი სურათი. ზურმუხტად  
აციაგებულ ზღვის გამო სანახაოას  
ლაჟვარდი ფერი გადაჰკვროდა. ამ  
დროს იგი მუხღვაურიც იყო. უფრო  
ინგლისელად წამოედგინა თავი და  
ჩრდილოეთის ზღვიდან ჰამბურგის სი-  
მაგრეებს უშენდა. აგერ, ხმელეთიდა-  
ნაც პასუხი გამოსცეს. საციხოვრო არ-  
ტილერია მხირულად მრისხანებს:  
ვულკანისებურად იგრილებს, ცეცხ-  
ლის ენას გადმოსავსავებს ვეშაპებით  
და ერთგვარ კმაყოფილებით ხეს-  
წყვეტა ბლავილს. მაგრამ ჯავშნოსს-  
თა ოახშიც ხაოჯვედ იცილვის მებს.  
აგერ, უტევენ, გადმოჰბდნენ ნაპირებ-  
ზე, იმაოთება ხელჩართული ბრძოლა...  
ყიფინა... კვენა... ღმჭილი... ჯოჯოხე-  
თი... ესლა კი სამსონი ბატონობდა:

— ჰა, როგორ მოგწონს, როგორ...  
ავილეთ, დავლემწით კიდევ...

— ოა, ოა?..  
სამსონი გულწრფელად მოუყვებოდა  
უცნაურ სახახაობის განჭკვრეტას, რაც  
ვითომც მის უტყუარ დიდებულ მო-  
საველის მოძასწავებელი იყო. ქეთი-  
ნოს კი მარტო გაგონება ამ ამავის  
ქოუაატელს ჰკვირდა.


— ვიი იცის, იქვეა ვერც იყოს,  
მაგრამ რა ვქნა, გულს სხვა რამეს  
მითხრობს... ოჰ, რომ შემეძლოს... რომ  
შემეძლოს ცას და დედამიწას ავატი-  
რებდი, ყველას ცრემლის ზღვად გარ-  
დაქმნიდი, რომ მრისხანე ტალღებით  
შეგებთქეოდიოთ ომის ღმერთის ტახ-  
ტრევანს და დაგვეძინა რისხვის ცე-  
ცხლით: „შორს მაგ ტახტიდან“!

ასეთ პათეტიურ საშუალებით უკა-  
ნასკნელ ხანებში ხშირად მიუმართნია  
სამსონის წინ. წარმოიდგინეთ, ერთ-  
ხელ სამსონი კიდევ დასჯაბნა.






ბ. შტიურმერი.



მინისტრი პროტოპოპოვი.



მინისტრთა საბჭოს თავმჯ. ტრკოვი.



სათათბიროს თავმჯ. როძიანკა.

— მესმის, მესმის, — უპასუხა წერით-  
ხელ სამსონმა, როდესაც მკლავზე გა-  
დასვენებულს ქეთინოს მღულარება  
მოსწმინდა თვალადან, — საქმე ის არის,  
ჩემო კარგო, რომ მთელი ეგ შენი  
ზრახვანი და გულისწყრომა მხოლოდ  
გულუბრყვილო განწირულებაა და მე-  
ტი არაფერი. შენ გსურს ქვეყნიერება  
შესძრა საზოგადო საგონებელის ჰიმ-  
ნით, მაგრამ გავიწყდება, რომ იგივე  
ქვეყანა საზოგადო საგონებელის  
დროსაც კი მეტად ტლანქია შეისმი-  
ნოს ეგ შენი კენესა, თუმცა სათი-  
თაოდ ესეთს წყველისა და გამოზის  
ჰინს მოიმღერს ყოველი დედა, ყო-  
ველი სასძლო, დანიშნულა... ჩვენ ის-  
ლა გვშენია სანუგეზოდ, რომ რკინის  
პირბადე ჩ. მ. იფაროთ, როგორც ყო-  
ველთვის, ყურები დულაბით შევიკრათ,  
რათა დ. იფაროთ ადამიანურ გრძო-  
ბათა აჯანყების ნამდვილი მეტყველე-  
ბა, მხეცა ავუშვათ ჩვენს გულში და  
ისე შევასრულოთ ის კაციჰამია მოვა-  
ლეობა, რაც მოვალეობად დაგვეკის-  
რა უხსოვარ დროიდან. უდრტინველი  
მორჩილება, აი რა! მხოლოდ უდრტვი-  
ნველი მორჩილება...

ქეთინო მოლბა. მას მკაცრს, მაგრამ  
სამართლიანს შენიშვნას მხოლოდ ცრე-  
მლებით უპასუხა. უხმოდ მოეხვია,  
უხმოდვე აკოცა, მაგრამ არა ისე, რო-  
გორც სანუკვარს ქმარს, არამედ რო-  
გორც სრულიად უცხო ადამიანს, რო-  
მელსაც სადღაც, როდესაც გაეცნო  
და ეხლა ემშვიდობებდა უცხო ქვეყანაში  
გასასტუმრებლად...

IV

მოახდენი შობდა. კვირა დღეს მთე-  
ლი სადგური სამხედრო პარტიათ გავ-  
სილი იყო. მუსიკა შეუწყვეტილად გუ-  
გუნებდა. და-ძმანი, დედა-შვილი თუ  
ახალგაზრდა ცოლქმარნი ერთმანეთს  
ვალერსებოდნენ, უცინოდნენ, თუმცა  
ყველას სახეზე ადვილად ამოიკითხა-  
ვდით იძულებით სიხარულს, ხელოვ-  
ნურს ღამილს. სამსონს მხარზე ქეთი-  
ნო მიჰყრდნობდა შუბლთან ხელ-

ცახოცი მიეღო და უხმოდ გაჰყურებ-  
და სივრცეს.

— თუ ჩემი სიყვარული გაქვს...  
ღვთის გულისათვის... ქეთო, ქეთინო...  
ჩასტორჩულებდა მწუხარების ქანდა-  
კად გაშეშებულს ქეთოს. მაგრამ მას  
მისი აღარა ესმოდა რა. ათასში ერთ-  
ხელ თუ ამოიგმინავდა გულიდან.

სამსონს მეგობრებიც მიეშველნენ.  
თანაგრძნობით შეჰხვდნენ მის მწუხარ-  
ებას.

— აბა რა გატირებს? — ეკითხება  
ერთი ახლად ამწვანებული ულვაშიანი  
ყმაწვილი, რომელიც სრულიად ახლად  
გამომცხვარი აფიკური იყო.

— შენც მოჰყვები, — სიტყვა ბანზე  
აუგდო სამსონმა, — აბა როდის სტი-  
რის!

— აკი არცა ესტირი, — უპასუხა  
თავის მხრით ქეთინომ და თითქოს  
სიზმრიდან ეს — ეს არის ეხლა გამო-  
ერკვაო, გაიღიმე.

— შეხეთ, მატრეხელი დგას...  
სამსონმა და მისმა აზნაზმა გადი-  
ხარხარა.

— მაშ რა გეგონათ, მცხეთობაში  
შეფე ერეკლეს ეტლით ხომ არ წავი-  
დოდი... შეჰნიშნა ახალგაზრდა აფი-  
ცერმა.

— ლეგან, გიხარიათ, რომ მარტო-  
ხელა ხართ და იტირებთ დასცილით  
ჩემს ქალურს გრძობებს, არა? — შეჰ-  
ნიშნა ქეთომ.

— რა თქმა უნდა, მიხარიათ, მეც  
რომ ვინმე ქეთ. ნო მყოლოდა, ასეთს  
დღეში ჩამავდებდა. შენ რაღა თავპი-  
რი ჩამოგტირის? მიუბრუნდა ახლა  
სამსონს: აი წავიდეთ და მთელი გერ-  
მანელი ქალები სულ აქ წამოვხვე-  
ტოთ.

თანაც გაიცინა. გაპარულ ლოყებ-  
ზე დილის ნიავმა რომ შემოჰკრა, ვარ-  
დსავით შეუწითლდა. ამასობაში მატა-  
რებელმაც იწვილა. მეორე ზარს დაჰ-  
კრეს. სამხედრო პარტია შორის ჩოჩქო-  
ლი შეიქმნა. ქეთინოს ფერმა გადაჰ-  
კრა. ტანში თითქოს ელექტრონის  
ქრუანტელმა დაუბინა. მაგრამ თავს  
ძალა დაატანა. სამსონს რო შეჰხედა,  
შეეცოდა.

წინა დღით ხალისიანი და გატაცე-  
ბული ჰაბუკი ეხლა ზაფრანასავით გა-  
ყვითლებული იყო. შინაგანი ხმა შეუ-  
წყვეტილად ერთსა და იმავეს ჩასძახო-  
და, რომ ქეთინოსთან ერთად უნდა  
გამომშვიდებოდა სამშობლო კერის  
ქველუც ზღუდეს, მის მომხიბვლელ  
საზღაპრო გაზაფხულს, ფერიათა ჩან-  
ჩქრებით მოფენილს მთა ველს, კურ-  
თხეულს ყანებს, ნაკადულთა ცქრილა  
რბენას. იგი მოიცვა მწუხარებამ. უზო-  
მიოდ სწყუროდა უკანასკნელ წუთს კი-  
დეგ ახალი წუთი მოჰყოლოდა, რომ  
თავისი გული, მწუხარება და სიხარუ-  
ლი ქეთინოს მწუხარ მეთყველების  
ყურთუქზე დაესვენებინა, ეს იმ  
მეტყველების ყურთუქზე, რომე-  
ლიც დაუსაბამო აღტაცების უს-  
რათს სურათზე ახსენებდა, თუ  
განთიადის ეამს ერთხელ სოფელ-  
ში მარს წინ ტოროლამ როგორ დაი-  
ფრთხილა, როგორის ზართა წკრია-  
ლით დაიწყო ბზრიალ-ტრიალა, ცად  
აფრენა, როგორ შეჰქოსა აღტაცების  
ქველუც სამოსით მთელი მიდამო, ვე-  
ლი — მინდორი, თვით ცისკრის სხივიც.  
მაშინაც ქეთინოს გულზე იყო მიყრ-  
დნობილი, მაგრამ რა განსხვავება!  
ასეთი სეედის მანტიის არსებობა მა-  
შინ ხომ სულაც არ უწყოდა. იგი სი-  
ხარული იყო ბუნებისა, ქეთინო და  
ის ერთგრძნობად აფეთქებულიყვენ,  
უცნობ სიმღერის ჰანგად.

— აბა, ჰა, ნულარ ახანებ, სამსონ!  
— უბრა თანამგზავრმა და შემდეგ  
სხვებში გაერია:

— ყმაწვილებო, იხიარულეთ... სი-  
კვდილი და საფლავი აღარ მოგვიც-  
დის... მოსწყვიტეთ ყველამ თქვენი  
ვარდი... სამსონ, ალავერდა კვლავ  
შენთანა ვარ!

— მართლაც, დრო არის! — სთქვა  
სამსონმა, — ორი წუთიც და... მატა-  
რებელი დაიძვრის... ახლა შენ იცო...  
არ იდარდებ, ხონ?...  
— არა, არ ვიდარდებ...  
ქეთინომ გაიღიმა.

— არ ვიდარდებ იქნობამდე, ვილ-  
რე შენს წერილებს მივიღებ, როცა  
კი შესწყდება...

ამასობაში მესამე ზარსაც ჩამოჰკრეს,  
ორიგენი შეკრთნენ.

— ცოტაც, ცოტაც მოიცა... ერთი  
კოცნაც და... იცოდე, ჩქარ ჩქარა წე-  
რილი... არ დამაღონო... მინამდე შენს  
მაგიერობას მარტოობა და ხეტიალი  
გამიწყებს...

— უსათუოდ... ყოველ წუთს შენ-  
თან ვიქნები, ქეთინო. რაღა თქმა მინ-  
და, წერილებს ყოველთვის მიიღებ,  
თუ ცოცხალი ვიქნები, არა და დაე  
თხროლების მიწამ გაგცეს ჩემ მაგიერი  
უკანასკნელი პასუხი.

ქეთოს ტყვიასავით მოხვდა გულზე  
მისი სიტყვები.


— აბა რას ამბობ... შენ მოხვ.ლ...  
უეჭველად მოხვალ...

თავი შეიმავრა, სამსონს გული გა-  
ეშვაგროო. მხოლოდ მაშინ, როდესაც  
სამსონმა მატარებელში ფეხი შესდგა  
და უკანასკნელი კოცნით კიბიდანვე  
ჩააბურდა მას, ქეთინომ არ უღალა-  
ტა თავს, სულ შესცინოდა, შეჰხარო-  
და, ერთგვარი ჰიპნოზით შეჰყურებდა  
მისგან ალამსავით მოფრიალვ თეთრს  
ხელსახოცსა. მაგრამ აი, მატარებელი  
გაჰქრა, თვალს მიეუარა, ხალხმა და-  
შლა დაიწყო. ერთად ერთი ქეთინო  
იყო იმავე მდგომარეობაში, უძრავი,  
გაშეშებული, მომცინარი, თუმცა გა-  
ფითრებული შეყინული სახათ. როდე-  
საც გამოერკვია, შეჰკრთა, მწუხარე-  
ბამ სახე დაუმანჭა. ფარფატიტ გასა-  
ვალ კარს მიაშურა. დარბაზში გასე-  
ლისას მთვრალსავით ხან ვის გაჰკრა  
გვერდი და ხან ვის, თუმცა ხალხი  
მანც და მანც ნაკლებად იყო.

— უკაცრავად, ბატონებო, უკა-  
ცრავად...

მოზადიშებით და ცრემლების წმენ-  
დით მიჰმარ თავდა ქეთინო, რომ უზრ-  
დელობაში არვის არ ჩამოერთვა მისი  
ასეთი ფარფატი და მღელვარება.


დ. კახრაძე.  
(დ. სასრული იქნება)



ჩხიძე.



ჩხენკელი.



მარკოვ მერგე.



პური შტიურმერი.





# სეპლის კანკაბი

მკოცნეთ, მკოცნეთ ტალღებო!

ზღვის ნაპირია...

სალამო და მზე ნახევრად ჩაძირული იცინის წითლად...

ღრუბლები სისხლათ დნებიან ირგვლივ... მწუხრია ცაში...

მე გაწოლილი ვარ ამ ფერად, მოზაიკად ნაქარვ ფაქიზ კენკებზე, ხელები გაშვებული მაქვს წინ, თვალები დახუჭული და... გარინდული ვსმენ— როგორ შარიშურობს ზღვის სიღრმე, როგორის სიმშვიდით ანიაგებს ის ტალღებს, წყნარს, დაღალულ და გამთბარ ტალღებს...

აი მე ვგრძნობ, თუ როგორ გატყდა და გაინართხა ტალღა მ. ვენესარე, როგორ გაიშალა და ნაპირს მოეფინა ზღვის ქ ფე—მსუბუქი ოცნებასებრ— და ჩემი ხელები ჩამიკოცნა, ნაშეფით თემები შემეწინწკლა, ტანში ტკბილ ერუანტულად აღძრა წოდინი, და... გაბრუნდა უკან, გაბრუნდა საყვადურით და... კიდევ განიმეორა. მისი ძახილი... მისი ფრთხილი ალერსი... კიდევ განიმეორა...

რა სიმშვიდეა!

მე კი ვწევარ...

ვწევარ უნებოდ, უბრძოლველად, აუტოკავად, უშფოთველი...

სძინავს ჩემს გრძობას, სძინავს სურვილებს, სძინავს—ლოტოვას და მისწრაფებას, სძინავს მოგონებათა ზღვას სევდით სავსეს—ჩემი სახელი— სიმშვიდეა...

ჩემი სახელი—მეფეა, გვირგვინი ხილოლისა! და ხილოლი კი ისე დიადა, ისე ლამაზი, ისე წარმტაცი და თვალუწყვედნი...

ჰეი, ღმერთებო! ღმერთებო! რა ტკბილია ასეთი ყოფნა!

ეხ, ღმერთებო, ღმერთებო! რატომ არის, რომ თუ მე მქონოდა შეძლება მუდამ მეცურა ამ ბედნიერ გრძობის მორევში, გყოფილიყავი მუდმივ გვირგვინად ამ ციური წყნარ სინაზისა, — თქვენვე არ მომცემდით ნებას განმეგრძო ჩემი სიმთვრალე, ხანგრძლივად დაგწაფებოდი მას. თქვენვე გამიღვიძებდით სულში ძიების წუხილს, თქვენვე მაიძულებდით მოვცილებოდი და დამეწყვილა—ეს მხიბლავი, მათრობი სიწყნარე და ბედნიერი ჩემი ღუმილი...

ეხ, ღმერთებო!.. ღმერთებო!..

\*\*\*

მომესალმენით დამინანინეთ, მკოცნეთ, ალერსით მკოცნეთ, ტალღებო!

წაიღეთ, დამარხეთ ზღვის უფსკრულში ჩემი სევდა, ჩემი წუხილი...

დამარხეთ ტალღებო ზღვის უფსკრულში ფრთა-წაჭრილ ოცნებათა ნამსხვრევები, და დამარცხებულ მშვენიერების ტკივილი მწარე...

დამარხეთ მწვავე, წაუშლელი ხაზები ჩემის შემთხვევითი შეხვედრებისა...

წაიღეთ, წაიღეთ, მომაცილეთ, დამარხეთ ტალღებო, მოსპეთ, დავიწყებას მიეცით სევდიანი სტრიქონები ჩემი სიცოცხლისა—ჩემი სიყვარული...

ო, დამარხეთ, დამარხეთ ჩემი კვნესა!.. მომაცილეთ, ტალღებო მე, წაიღეთ ჩემი სულის ცრემლები, ჩამესხით მკერდში და აპბანეთ იარები იმედის საფლავს—ჩემს დაშხამულს გულს...

დამარხეთ, დამისამარეთ, თქვენ, ტალღებო, სიმძიმე ფიქრთა. დამარ-

ხეთ ყველაფერი ის, რაც ლოდოდ მწევს და მტანჯავს, მტანჯავს უღმერთოდ—ობლობა ჩემი! დამარხეთ გამანთავისუფლეთ მე, გენაცვალეთ,— ტალღებო! ტალღებო!

ხმაურობენ... რბიან ფრთხილად... იზზარებიან, ტყდებიან და... შეეფავენ, ტალღები ისე ნელა, ისე ნელა და... მიკოცნიან ხელებს განართხულს ფერად კენკებზე, ნაშეფებით თემებს მიწინწკლავენ და... მასხურებენ აიაზმად სულში—

— სიმშვიდე... მომეცით, მომეცით სიმშვიდე მე, მხიბლავო ტალღებო! მომეცით მე სიახლე ზღვისა, შთამბერეთ მე თქვენ, ძალა და სიგრცე მისი...

მომეცით, მომეცით მე, ტალღებო, თქვენი ფარული სიხალისე და ძლიერება... შთამბერეთ მე თქვენა ყველაფრის მძლევი სიმძაფრე ნაზი... მომეცით ნება ჩავნთქა სიმღერა თქვენი, მომეხვედით, მომეხვედით, გამხვედით ბურუსში ტალღებო, მომეცით დავიწყება მე,— შთამისხით — სიმშვიდე სულში...

\*\*\*

ხმაურობენ, ხმაურობენ და... ანკარა რაკრაკით ინართხებიან ტალღები... და მღერიან, ხან დაღვრემილად, ხან ხალისით, დაუღალავად მღერიან სევდას...

სიწყნარეა აქ—ციური სიმშვიდის სამეფოში და მთელი ქვეყანა ყრუ გალობად არის ქცეული...

და მე კი ვწევარ განართხულ ფერად კენკებზე...

აქ ვწევარ უნებოდ, უბრძოლველად, აუტოკავად...

სძინავს ტკივილებს. მოკვდა სევდა... სევდა მჩხვლეტარე... ჩემი სახელი აქ— სიმშვიდეა...

აქ მარტო ვარ მე—მევე ხილოლის—ღმერთი, და სტიქია ჩემი სამეფო— მე მინანინებს...

განართხულ ხელებს მიკოცნის ტალღა მკვნესარე. ნაშეფით თემები მიწინწკლება, სალამოს ნიაგი და სანაპირო თბილი ეთერი მიალერსებენ, ყელს ეხვევიან...

ფირუზი, ეთეროვანი უფსკრული ცისა აგვირგვინებს სიგრცეს ჩემი ბატონობისა და ჩამავალი, სისხლით მტირალი მზე მე მიგზავნის სითბოს უკანასკნელი სალამისას, გამოსათხოვარ სევდის სინაზეს შორეული ოკეანიდან...

და ყველაფერ ამას ვგრძნობ—ვით ზღაპრის მუსიკას, ისე წყნარად... ისე... სული სავსეა სიკეთილით, ნაზი სიმშვიდით...

სიმსუბუქე და სიხარული ბულათ ტრიალებს მკერდში...

და ტალღები კი ხმაურობენ... ხმაურობენ და ანკარა შრიალით ინართხებიან კენკებზე და... მღერიან... მღერიან ხან დაღვრემილად, ხან ხალისით, დაუღალავად მღერიან სევდას... ქვეყნის ცვალებადობას...

და მე კი ვწევარ ბედნიერი... მთელი არსებით მსურს ქვეყანას ვუთხრა ნანინა... სიყვარულით ვლოცავ ყველას—ვისაც ესმის ჩემი სევდა და სიჩუმედ გადაქცეული ღუმილით ვიძახი:

მომიალერსეთ, მომიალერსეთ, ტალღებო...

მკოცნეთ, მკოცნეთ მე—გენაცვალებით...

თ. იანელი.

# წერა-კითხვის საზ. კრებების სურათები

## ს ა რ უ ე ბ ი



პავლე საყვარელიძე.



ჩვენი რეზო.



დ. გ. კარიკაშვილი.



გარლ. მ. ბურჯანაძე.



მხიარული ორატორი  
ირაკლი რამიშვილი.